

თხუ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

## საქართველო ნიკოს კაზანძაკისის მოგზაურობებში (1919, 1927, 1928)

ბერძენი მწერალი, ფილოსოფოსი და პუმანისტი ნიკოს კაზანძაკისი (Nikos Kazantzakis) მე-20 საუკუნის კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენს. მისი თვალსაწიერი ფართოა, ყოველი მისი ნაწარმოები კი, ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურია და სიმბოლოებითაა დატვირთული. კაზანძაკისი მარტივად აღსაქმელი ავტორი არ არის. ასეთივეა მისი მოგზაურობების ჩანაწერებიც.

6. კაზანძაკისი დაიბადა კუნძულ კრეტაზე (ქ. პერაკლიონი), 1893 წელს. განათლება მან მიიღო ათენის და პარიზის უნივერსიტეტებში. მას 13 რომანი და 22 დრამა ეკუთვნის. ძველი ბერძნულიდან ახალ ბერძნულზე კაზანძაკისმა თარგმნა „ილიადა“ და „ოდისეა“. იგი ასევე, თარგმნიდა იტალიურიდან (მაგ. თარგმნა „დვითაებრივი კომედია“) და გერმანულიდან (გოეთე, ნიცშე). გარდა ევროპული ენებისა, როგორც მისი ავტობიოგრაფიული წიგნიდან: „ადსარება გრეკოსთან“ ჩანს, ნიკოსი ადრეულ ასაკშივე დაინტერესებულა ძველი ებრაული ენით, რათა ორიგინალში წაეკითხა ძველი ადთქმა. სამწუხაროდ, ებრაულ რაბინთან გაკვეთილების მიღებაზე ადრევე მოუხდა უარის თქმა, ნათესავებს შორის გავრცელებული ანტისემიტური განწყობის გამო, თუმცა, თავის მოგზაურობის წიგნს საბჭოთა რუსეთში მან „Toda Raba“ უწოდა, რაც ძველ ებრაულად „მადლიერებას“ ნიშნავს. კაზანძაკისი გარდაიცვალა ფრაიბურგში 1957 წელს. მოგვიანებით, იგი გადაასვენეს კრეტაზე, სადაც დაკრძალულია მართლმადიდებლური ეკლესიის კედლის გარეთ.

მწერლის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოახდინეს ა. ბერგსონმა და ფრ. ნიცშემ. 6. კაზანძაკისი წერს: „წავიდოდი და ბერგსონის მაგიურ ხმას დაგუგდებდი ყურს... მომაჯადოებელ შელოცვას გავდნენ მისი სიტყვები; პატარა კარი გაიხსნებოდა გარდუვალობის შიგნეულში და (შიგ) სინათლე შეაღწევდა.“ ფრ. ნიცშეზე კი, ის შემდეგს იგონებს: „ლომის საკვები შემაჭამა ნიცშემ, ყველაზე კრიტიკულ, ჩემი ახალგაზრდობის ყველაზე მშიერ წუთს.“<sup>1</sup>

1923 წელს კაზანძაკისმა პატარა, უცნაური წიგნი დაწერა – „ასკეზა“ (იგივე „Salvatores Dei“). ამ თავისებურ ნაწარმოებში, მწერალი საკაცობრიო ფილოსოფიურ საკითხებს შეეჭიდა (ადამიანის რაობა, მისი ადგილი სამყაროში, მოვალეობა, ღმერთი, რასა, წინაპრები და ა. შ.).<sup>2</sup>

ეს პატარა, მაგრამ ტევადი წიგნი, კაზანძაკისის იმდენად თავისუფალ აზროვნებას ამჟღავნებს, განსაკუთრებით, რწმენის და ღმერთის ინტერპეტაციის საკითხებში, რომ მან მწვავე კრიტიკა დაიმსახურა.

მოაზროვნისა და მწერალ კაზანძაკისისათვის მისაბაძი იდეალია კრეტელი წარმოშობის დიდი ხელოვანი ელ გრეკო (დომენიკო თეოტოკოპული), რომელიც ვიწრო ჩარჩოებს გაექცა, ესპანეთში დამკიდრდა, მაგრამ ბოლომდე თავისი კუნძულის და ფესვების ერთგული დარჩა. გარკვეულად, კაზანძაკისი თავისი თავის გაიგივებასაც ახდენს ელ გრეკოსთან. როდესაც იგი ელ გრეკოს შესახებ შემდეგ სტრიქონებს წერდა, ალბათ, საკუთარ თავსაც გულისხმობდა: „ბუნებრივია, რომ ამგვარი (ელ გრეკოს მსგავსი, ვ. კ.) შემოქმედნი გივებად მოინათლნენ თავიანთ თანამედროვეთაგან: რადგანაც, გიუად ითვლება ის, ვინც

<sup>1</sup> 6. კაზანძაკისი, ადსარება გრეკოსთან, ახალი ბერძნულიდან ქართულად თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თამარ მესხმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1999, გვ. 311.

<sup>2</sup> 6. კაზანძაკისი, ასკეზა (Salvatores Dei), ახალი ბერძნულიდან ქართულად თარგმნა თამარ მესხმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1997.

სხვაზე ოცდაოთხი საათით ადრე ხედავს. გრეპო, გიუად ითვლებოდა ორ საუკუნე-ნახევრის განმავლობაში... ახლა კი, ჩვენს მეთაურად ვაღიარებთ.“<sup>3</sup>

ახლა, უშუალოდ, მწერლის საქართველოში რამდენიმე მოგზაურობა განვიხილოთ:

1919 წელს ნიკოს კაზანძაკისი პირველად ეწვია საქართველოს. მაშინ ის (ალბათ, სიცოცხლეში ერთადერთხელ) სახელმწიფო მოხელის სტატუსით ჩავიდა საქართველოში. მწერალი დათანხმდა საბერძნეთის სოციალური დახმარების სამინისტროს, ყოფილიყო მისი წარმომადგენელი, გაჭირვებაში მყოფი პონტოელი ბერძნების სამშობლოში რეპატრიაციის საქმეში. თავის თანხმობას, მწერალი ასე ხსნის: „გავაიგივე რა დღევანდელი სატკივარი საბერძნეთის საუკუნეობრივ ვწებებთან, სიმბოლომდე ავამაღლე დღევანდელი ტრაგიკული შემთხვევა და დაგთანხმდი“<sup>4</sup> (ხაზი ავტორისაა). 1914-1918 წწ.-ში ეთნიკურმა ბერძნებმა დიდი რაოდენობით დატოვეს თურქეთი და საქართველოს საპორტო ქალაქ ბათუმში მოიყარეს თავი. 1919 წელს აშკარა გახდა, რომ შესაძლოა, ჩრდილოეთიდან ადგილი ჰქონდა აგრესიას დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ. საჭირო გახდა ეთნიკური პონტოელი ბერძნების ისტორიულ სამშობლოში რეპატრიაცია, თუმცა, საბერძნეთის მთავრობა ამისთვის მზად არ იყო.

1919 წლის 24 ივნისს, ნ. კაზანძაკისი, თანამშრომლებთან და მეგობრებთან ერთად, ბათუმში ჩავიდა. მას ბათუმში ტრაპიზონის მიტროპოლიტი, ქრისანტოსიც გაჲყვა. იგი წინააღმდეგი იყო ბერძნების ისტორიულ სამშობლოში მასობრივი დაბრუნებისა. მიტროპოლიტი მიიჩნევდა, რომ ამგვარად პონტო სულ დაიცლებოდა ბერძნებისაგან. ქრისანტოსმა ადგილზე შეისწავლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და ამის შესახებ ბერძნულ საეკლესიო პრესაში, სტატია გამოაქვეყნა (რუსეთის იმპერიის მიერ, 1811 წ. გაუქმებული ავტოკეფალია, საქართველოს ეკლესიამ 1917 წ. მარტში აღადგინა).

კაზანძაკისი, თავის მხრივ, მიიჩნევდა, რომ არსებული მრავალი საფრთხის გამო, ბერძენთა ადგილზე დარჩენა მიზანშეუწონელი იყო და საბერძნეთს შველაფერი უნდა ეფონა ბერძნების სამშობლოში დასაბრუნებლად.<sup>5</sup> მწერალი საქართველოში 2 კვირა დარჩა. ნ. კაზანძაკისმა ძალიან მოკლედ აღწერა ნანახი. მისი სიტყვით, საქართველოში პირქუში მითიური მოები, ნაყოფიერი ველები და ადამიანთა ყოვლადმშვენიერი ჯიში ბინადრობდა.<sup>6</sup> მისი ეს პირველი სტუმრობა საქართველოს გაცნობის დასაწყისი იყო. 1927 წელს კაზანძაკისი საბჭოთა მთავრობამ, რევოლუციის ათი წლისთვით დაკავშირებით, სხვა მწერლებთან ერთად მოიწვია საბჭოთა კავშირში. მოსკოვიდან ნ. კაზანძაკისი მწერალ პანაიტ ისტრატისთან ერთად, საქართველოსკენ გამოემგზავრა. იგი წერდა: „არც კი გაგვიგია ისე მივაღწიეთ საქართველოს დედაქალაქ თბილისამდე, მსოფლიოში უმშვენიერესი ადამიანებით... უზარმაზარ სიხარულს ვგრძნობდით; თითქოს, სულის ერთი კიდიდან – მეორემდე გვემოგზაუროს.“<sup>7</sup> თბილისიდან კაზანძაკისი კვლავ ბათუმში გაემგზავრა. ამ ვიზიტის დროს, გაიცნო მან ქართველი მწერალი და პოეტი გიორგი ლეონიძე. მწერლებთან და სხვა პოეტებთან ერთად. მეგობარ ქალ ელ ლამპრიდისადმი, ბათუმიდან გაგზავნილ წერილში (28. 11. 1927) კაზანძაკისი წერდა: „გუშინ საღამოს... თბილისის სადგურში ერთმანეთს ეხვეოდა ორი ადამიანი, რომელთაც არ უნდოდათ განშორება, რამეთუ იგრძნეს, რომ ცხოვრებას არსი ეკარგებოდა, თუ ერთმანეთის გარეშე იცხოვრებდნენ. ეს ორი ადამიანი იყო: პოეტი გიორგი ლეონიძე და მე. მან მხოლოდ ქართული

<sup>3</sup> ნ. კაზანძაკისი, ტოლედო, წიგნში: „აღსარება გრეკოსთან“, ქართულად თარგმნა თამარ მესხმა, თბ., 1999, გვ. 504.

<sup>4</sup> თ. მესხი, დიდი ხანძრის მეწამული ანარეკლი, თბ., 1996, გვ. 13-14.

<sup>5</sup> თ. მესხი, დიდი ხანძრის მეწამული ანარეკლი, თბ., 1996, გვ. 21.

<sup>6</sup> იქმე, გვ. 23.

<sup>7</sup> თ. მესხი, დიდი ხანძრის მეწამული ანარეკლი, თბ., 1996, გვ. 25.

იცოდა<sup>8</sup> და მე ვცდილობდი იმ ორიოდე სიტყვით, რაც მე ვისწავლე, გადამეცა მისთვის მთელი ის სითბო, რაც გამაჩნდა.<sup>9</sup> ნ. კაზანძაკისი, სამწუხაროდ (როგორც ჩანს, უსაფრთხოების თვალსაზრისით), წერილში არ ახსენებს იმ საინტერესო ფაქტს, რომ მან, გ. ლეონიძის პატივისცემის ნიშნად, მისი ერთ-ერთი ქალიშვილი მონათლა.<sup>10</sup>

კაზანძაკისის სხვა მოგზაურობებიდან საქართველოში, ყველაზე ხანგრძლივი და საინტერესო მესამე ვიზიტი გამოდგა. ნ. კაზანძაკისი საქართველოში იმყოფებოდა 1928 წ. აგვისტოდან – დეკემბრის ჩათვლით. ამ მოგზაურობის დროს, მან მოინახულა თბილისი, ბორჯომი, სოხუმი, ახალი ათონი. მისი შთაბეჭდილებები, წიგნში უცნაური სათაურით „Toda Raba“, გადმოცემულია ერთგვარი სიმბოლოების და განზოგადოებების სახით. ეროვნული სუფრის ტრადიციული აღწერილობა (ლამაზი ქალები, დვინო, მწვადი, სიმღერა, ხალხური საკრავები), ისევე, როგორც ბუნება (მწვანე დაკლაკნილი მტკვარი, შავი ზღვა, მარადმწვანე ფინიკის და ბანანის ხეები), ძველი ეკლესიები და თბილისის გოგირდის აბანოები, მხოლოდ ფონია იმ მთავარი სათქმელისათვის, რაც ავტორს უნდა რომ გვითხრას. ასევე, ძალიან მოკლედ და განზოგადოებულად გადმოგვცემს იგი საქართველოს წარსულს. მწერალმა, საქართველოს განთქმული, სულ სხვადასხვა ეპოქის მეფეები, ერთ პიროვნებაში – ლეგენდარულ თამარ მეფეში გააერთიანა. კერძოდ, V ს-ის მეფე ვახტანგ გორგასალი და მისი შევარდენი, თვით თამარის მითოლოგიური სახე და დავით IV აღმაშენებლის ეპიტაფია მან ერთ პიროვნებაში – თამარ მეფეში გააერთიანა.<sup>11</sup> მწერალს სულ სხვა რამ აინტერესებს, რა ხდება საბჭოთა საქართველოში, რომელიც ამ დროს იძულებითაა გაერთიანებული სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად ერთ რესპუბლიკაში, რომელსაც: „ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ ეწოდება (1922-1936). მართალია, ამ რესპუბლიკის შესახებ მწერალი პირდაპირ არაფერს ამბობს, მაგრამ ის, რომ მისი თხრობის სამი მოქმედი გმირი ერთდროულად მოქმედებს თბილისში და სამი სხვადასხვა ეროვნების და რესპუბლიკის წარმომადგენლები არიან (სახელებისა და სხვა დამახასიათებელი შტრიხების მიხედვით), ამაზე მეტყველებს. ქართველებს წიგნში წარმოადგენს, ჩვენი აზრით, განზოგადებული სახე – ლევან მენაშვილი (ზუსტად ასეთი გვარი, საქართველოში არ არსებობს); აღმოსავლურ (თურქულენოვან) სამყაროს – აზადი, სომხურს კი – აშოტი. დარწმუნებული ვართ, ნ. კაზანძაკისი თავისუფალ განზოგადოებას ახდენს და თითოეულ მათგანს, მისი წარმოდგენით, იმ ეტაპისათვის დამახასიათებელ ეროვნულ თვისებებს მიაწერს. დავიწყოთ პირველი ასეთი განზოგადებით, ლევან მენაშვილით. იგი მთავარი მოქმედი გმირის, ავტორის პროტოტიპის, გერანოსის სიტყვით: „ჭრილობებით საკეთ პოეტი და ფანატიკოსი ქართველია.“ ლევან მენაშვილი, თითქოს ისტორიული ქართველის განსახიერებაა და 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილეც. აქაც ერთმანეთს ერწყმის რეალობა და სიმბოლური სახე. ლევან მენაშვილი მწერალს („გერანოსს“) უჟღება, რომ მისი შვილი (შვილიც, ჩვენი აზრით, სიმბოლური მნიშვნელობითაა ნახმარი) „სხვა ორას ახალგაზრდასთან ერთად დახვრიტეს ბოლშევიკებმა ვაგონებში.“ სრული ჭეშმარიტებაა ის, რომ მართლაც, 1924 წ. სექტემბერში, წარუმატებელი აჯანყების ჩახშობის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ, დასავლეთ

<sup>8</sup> ნ. კაზანძაკისი გულისხმობს იმას, რომ გ. ლეონიძე არ ლაპარაკობდა ევროპულ ენებზე, თორებ ის სრულყოფილად ფლობდა რუსულ ენას.

<sup>9</sup> თ. მესხი, დიდი ხანძრის მეწამული ანარეკლი, წერილები ელ ლამპრიდისადმი, თბ., 1996, გვ. 90.

<sup>10</sup> ამ ფაქტს ადასტურებს. გ. ლეონიძის შვილიშვილი ქალიშვილის, ნესტანის მხრიდან, ცნობილი ისტორიკოსი გიორგი ქავთარაძე.

<sup>11</sup> Toda Raba, თავი V წიგნში: თ. მესხი, დიდი ხანძრის მეწამული ანარეკლი, თბ., 1996, გვ. 49-55.

საქართველოს პატარა ქალაქ ზესტაფონში, ასზე მეტი ადამიანი გაგონებში გამოკვეტა და ტყვიამფრქვევით დაცხილდა.<sup>12</sup>

როგორც ემიგრაციაში დაწერილ მოგონებებში ლევ ტროცკი იგონებდა, ი. სტალინს, 1924 წლის საქართველოს აჯანყების შესახებ უთქვამს, რომ საჭირო იყო „საქართველოს ხელმეორედ გადახვნა“<sup>13</sup> ლევან მენაშვილი, წიგნის მთავარი გმირის, გერანთის (6. კაზანძაკის) სიტყვით, შემდეგ აზრს გამოჰქამს: „თავისუფლება გვინდა; არა ვართ ჩვენ (ქართველები, ვ. კ.) არც კომუნისტები და არც რეაქციონერები. ჩვენ ქართველები ვართ.“ კაზანძაკისი მძაფრად გადმოსცემს ლევანის სიყვარულს საქართველოს წარსულისადმი. იგი წერს, რომ ლევანი (როგორც ქართველის კოლექტიური სახე), ძველ ნანგრევს, საქართველოს „ყოველ ქვასა და ლოდს ეთაყვანება.“<sup>14</sup> კაზანძაკისი თანაგრძნობითაა გამსჭვალული ლევანის (ძველი საქართველოს) მიმართ, მაგრამ დაუფარავად მიახლის მას, რომ მისი მიზნები: „აუხდენელი და შეზღუდულია.“ მწერალი ასეთ სასტიკ განაჩენს გამოუტანს ქართველ პატრიოტებს: „იდილიური სიზმარი, დამოუკიდებელი საქართველოსი მოაზროვნე ადამიანისათვის შეუფერებელი ქიმერა. საქართველო გადამწყვეტ გეოგრაფიულ და ფსიქოლოგიურ არეალშია. იგი ორ ძალას შუა მოქცეული. ახალი საბჭოთა ძალისა, რომლის მიზანიცაა შთანთქას მთელი აზია და ძველი, კაპიტალისტური ძალისა, რომელიც ცდილობს მას შეეწინააღმდეგოს. საბრალო საქართველო ორ უზარმაზარ დოლაბს შორის მოქცეულ ხორბლის მარცვალსა პგავს.“<sup>15</sup> გაწილებული ლევანი ბერძენ მწერალს „ფატალისტს“ უწოდებს, თუმცა, უცხოელი ჰუმანისტი, საკმაოდ ცინიკურად განუმარტავს მას, რომ: „ყოველი ახალი იდეა (ამ შემთხვევაში, კომუნისტურ-სოციალისტური იდეა, ვ. კ.) იმპერიალისტურია... საბრალო მენაშვილო! აბა, დაკვირდი, თუნდაც ყველაზე სათხო იდეას, რომელიც კი დედამიწაზე მოსულა: „იყვარებდეთ ურთიერთას,“ როცა რომელიმე პიროვნებას ან რომელიმე ხალხს არ უნდოდა, ან არ შეეძლო გაეგო ეს სიყვარული მშვიდობიანი გზით, მაშინ გადაუპობდნენ თავს და ისე ჩაუდებდნენ გონებაში.“<sup>16</sup> ანუ გერანთი ლიად და დაუფარავად წირავს საქართველოს დამოუკიდებლობას, „ახალ იდეას“ ანაცვლებს მას. ამიტომაცაა, რომ ლევანზე (იგივე ძველ საქართველოზე) იგი რამდენჯერმე ასეთ გამოთქმას ხმარობს: „მკვდრის გვერდით დავდივარ.“ ანუ, საქართველო გერანთისათვის ახალი წითელი დემონისათვის შეწირული ზვარაკია და ბრძოლა უზროა. ზუსტად ასე გაწირა საქართველო „ერთა ლიგაშ“ 1920 წ. 16 დეკემბერს. საქართველოს „ერთა ლიგაში“ მიღებას 16 ხმა ჭირდებოდა, მაგრამ საქართველოს ლიგაში გაწევრიანებას ევროპის ქვეყნებიდან მხარი დაუჭირა მხოლოდ ხორვეგიამ, იტალიამ, პორტუგალიამ და შვეიცარიამ.<sup>17</sup> ასევე, გაიწირა საქართველო გენუის 1922 წლის მაისის კონფერენციაზე. მართალია, გენუაში წაიკითხეს დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერის, ემიგრაციაში მყოფი აკაკი ჩხერიმელის მემორანდუმი იტალიის პრემიერის ლუიჯი ფაქტას სახელზე, ასევე, კონფერენციის ერთ სხდომას გააცნეს საქართველოს იმდროინდელი ეკლესიის მეთაურის – ამბროსი ხელაიას მიმართვა, მაგრამ

<sup>12</sup> Thierry Berishvili, Г Insurrection nationale en Géorgie 1924 (ორენვანი, ქართულ-ფრანგული გამოცემა), პარიზი-თბილისი, 2013, გვ. 105.

<sup>13</sup> Л. Троцкий, Сталин (воспоминания в 2-х томах), т. 2, Москва, 1990, с. 418.

<sup>14</sup> Toda Raba, თ. მესხი, დიდი ხანძრის მეწარმელი ანარეკლი, თბ., 1996, გვ. 54.

<sup>15</sup> იქვე. გვ. 54.

<sup>16</sup> იქვე. გვ. 55.

<sup>17</sup> საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რედ. ვ. გურული, თბ., 2003, გვ.80 (ქართულ ენაზე).

არავითარი რეალური შედეგები (თუ არ ჩავთვლით გამგაცრებულ რეპრესიებს) ამ კონფერენციას საქართველოსთვის არ მოჰყოლია.<sup>18</sup>

ლევანის დახასიათებას მწერალი ასე აჯამებს: „საბრალო ლევანი! ისიც ხომ თავის სამშობლოსავით, ორ დოლაბს შორის მოქცეული ხორბლის მარცვალია, (მოქცეული) ბურუუზიასა და პროლეტარიატს შორის!“ ნ. კაზანძაკისი (გერანთისი) ამგვარად, მიიჩნევს, რომ საქართველოს (ლევანის) გადარჩენა მხოლოდ ახალი რეალობისადმი შეგუებას შეუძლია: „ესმოდა გერანთის მისი (ლევანის, ვ. კ.) ძვალო დრჭიალი. რუსული და კაცობრიული ისტორიის მთელი მსვლელობა სიკვდილს უსჯიდა მას. გრეკოსეული ერთ-ერთი პორტრეტივით წარმოუდგა გერანთის მზის ჩასვლისას ლევანი. შექმული, სისხლგამომშრალი, მომწვანო-მოყვითალო ფერის მოჩვენება, ამომავალი დიდი ჭაობიდან.“<sup>19</sup> თავისი „კრედოს“ წიგნში, „ასკეზაში“, მწერალი ხომ ასეთ აზრსაც გვთავაზობს: „ისწავლე მორჩილება. მხოლოდ ის, ვინც მის (მორჩილების, ვ. კ.) უმაღლეს რიტმს ემორჩილება, მხოლოდ ისაა თავისუფალი.“<sup>20</sup>

ახლა ვნახოთ, როგორ ახასიათებს მწერალი ამ წიგნის სხვა გმირს – აზადს. აზადი, სახელიდან გამომდინარე, არც ქართველია და არც სომეხი. მწერალი მას გაიცნობს თბილისელი სპარსის, მექმედის საჩაიერში. იქ, სადაც ბრძა მოხუცი სულეიმანი უვება აღმოსავლურ, ზღაპრულ ამბებს. აზადი ჩეკისტია (საბჭოთა საიდუმლო სადაზვერვო სამსახურის მუშაკი). ლევანი, მის დანახვაზე კანკალს იწყებს და ტოვებს გერანთის. იგი უურში უჩურჩულებს მწერალს: „ეს ადამიანი... საშინელი ჩეკისტია, რომელმაც დამაპატიმრა.“ გერანთისი კი, აზადის პიროვნებით დაინტერესდება და ამ მიზნით, უახლოვდება მას. როგორც აღმოჩნდა, ეს ახალგაზრდა ფანატიკოსი ჩეკისტი, იმდროინდელი საბჭოთა სინამდვილით უკმაყოფილოა. მას ცოტა ხნის წინ, მთელი საბჭოთა ქვეყანა შემოუვლია და ეველგან სიყალბე, შიმშილი, ჭუჭყი, ქუჩის უპატრონო დაავადებული ბავშვები უნახავს.<sup>21</sup> აზადს მაღალჩინოსანი წითელი ხელმძღვანელობისათვის მწვავე კრიტიკითაც მიუმართავს: „არა გრცხვენიათ? იმისთვის დავღვარეთ სისხლი, რომ აქამდე, ამ ბავშვამდე მიგვეღწია? (მას პარტიული ბოსებისათვის, გაუბედურებული, ავადმყოფი ქუჩის ბიჭი მიუვანია, ვ. კ.). მე ვარ აზადი, ჩეკისტი და მიმაჩნია, რომ უფლება მაქვს ვილაპარაკო... ზარმაცნო, კარიერისტებო, ყაჩაღებო!“ – მიუხელია მას პარტიული ელიტისათვის. გერანთისი საკუთარი კრიტერიუმებით აფასებს აზადის პიროვნებას და ასკვნის: „მომწონს მე ეს წითელი დონ კიხოტი... თითქოს თავის ძველ კოშკს უვლის გარს, ნაცემი და ქმაყოფილი.“<sup>22</sup> მძიმე ფიქრებიდან აზადის შეძახილი აფხიზლებს მწერალს. აზადში ჩეკისტი იღვიძებს და ის გერანთის უხეში ხმით ეკითხება: „ვინა ხარ?“ მიხვდა გერანთისი, რომ კითხვა იმას ნიშნავდა, რომ აეხსნა – რა შეხედულების იყო წითელ რევოლუციაზე, მიმდინარე მომენტზე და ა. შ. და მანაც შესაბამისად უპასუხა: „საბჭოების თაყვანისმცემელი...“ დამშვიდდა ჩეკისტი და გული გადაუსხსნა უცნობს. იგი აღსარებასავით ეუბნება მწერალს: „დავთესეთ სისხლი, მოვიმქეო ტალახი... ნახე გზებზე ძალლებივით მოწანწალე ქუჩის ბიჭები?“ განვმარტავთ, რომ ამ პერიოდში, უპატრონო ბავშვები, საბჭოების დიდი პრობლემა იყო. დანგრეული ეკონომიკა, რეპრესიები, შიმშილი, ეს ის ფაქტორები იყო, რომლებიც ხელს უწყობდა უპატრონო ბავშვების მთელი არმიის გაჩენას. ისინი რუსეთის შიდა გუბერნიებიდან სამხრეთისაკენ დაიძრნენ და საქართველოსაც მიაღწიეს. ჭუჭყიანი, დაავადებული ბავშვები აგრესიული ქცევითაც გამოირჩეოდნენ. ამას იხსენებს ამერიკაში

<sup>18</sup> საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, დასახ. გამოცემა, თბ., 2003, გვ. 123-124.

<sup>19</sup> ნ. კაზანძაკისი, Toda Raba, დასახ. გამოცემა, გვ. 60.

<sup>20</sup> ნ. კაზანძაკისი, ასკეზა, თბ., 1997, გვ. 59.

<sup>21</sup> ნ. კაზანძაკისი, Toda Raba, დასახ. გამოცემა, გვ. 60-61.

<sup>22</sup> იქვე. გვ. 61.

ემიგრაციაში წასული მეცნიერი ანატოლი ფილინი, რომელმაც XX ს-ის 20-30-იანი წლები სწორედ თბილისში გაატარა.<sup>23</sup> და კვლავ გერანოსისა და აზადის დიალოგს დაუბრუნდეთ. შემდეგი გამომცდელი და „ჩამჭრელი“ კითხვა, რომელსაც აზადი გერანოს უსვამს, ასეთია: „გიყვარს რუსეთი?“ ამ კითხვას გერანოსი ორაზროვნად პასუხობს: „მიყვარს ის ცეცხლი, რუსეთს რომ წვავს...“ მწერალი ხვდება, რომ პასუხი აზადისთვის შეიძლება გაუგებარი იყოს, მაგრამ მან ისიც იცის, რომ იგი პასუხს ისე მიიღებს, როგორც თვით მას უნდა. მართლაც, მცირე პაუზის შემდეგ, აზადი გერანოს ეფიცება, რომ ისინი მმები არიან. აზადი ახალ მეგობარს სთავაზობს მთელი საბჭოეთი ერთად შემოიარონ და მოითხოვონ ცვლილება და განახლება. მანამდე კი, იგი გერანოსს სთავაზობს დაესწროს მის მგზნებარე გამოსვლას თბილისში, პარტიულ შეკრებაზე. იქ აზადი დაასაბუთებს ახალი რევოლუციის აუცილებლობას. მართლაც, გერანოსი დაესწრება მის მწვავე გამოსვლას. სიტყვის ბოლოს, აზადი გულუბრყვილოდ ამბობს, რომ მოსკოვში ჩავა, კრემლში მივა და იქ იტყვის სიმართლეს. იგი ყველას დაარწმუნებს იმაში, რომ რევოლუციური სული, „მატერიალისტურმა ტალახმა“ შთანთქა.<sup>24</sup> დარბაზი გასუსულია. ვერავინ ბედავს ხმის ამოდებას. აი, ამ მოქენებში ჩნდება თხრობის მესამე გმირი, ეროვნებით სომები აშოგი (მის ეროვნებას უტყუარად მიუთითებს მისი სახელი). მწერალი ასე აღწერს ამ დრამატულ სცენას: „წამოდგა აშოგი, გერანოსის მეგობარი (ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ სამივე გმირი მისი მეგობრებრები არიან). სრულიად ფერდაკარგული, საშიშად აღელვებულია... „ამხანაგი აზადი, ოდესლაც დიდი რევოლუციონერი იყო. აღარაა, (დროს) ჩამორჩა. ვეღარ ერკვევა სინამდვილეში. ამხანაგი აზადი ახლა რევოლუციონერი კი არა, მეამბოხეა...“ (ამბობს ის). გერანოსს ესმის, რომ ამგვარი სიტყვები სასიკვდილო განაჩენია აზადისათვის, ამიტომ იძულებულია თვითონაც ჩაერთოს პოლემიკაში: „ამხანაგი აშოგი ცოტა ჩქარობს მკვდრების დამარხვას... (ის) ხედავს ძალიან სუფთად (კარგად), მაგრამ შორს ვერა. ამხანაგი აშოგი თხრის იმ პატარა თხრილს, რომელიც მის წინაშეა და მას თხრის კარგად. სიმკაცრე იქნებოდა მისგან მეტის მოთხოვნა...“<sup>25</sup>

გერანოსი (კაზანძაკისი) ამბობს, რომ თვითონ ძალიან უჭირს ამ სიტუაციაში გარკვევა. იგი ასეთ დასკვნას აკეთებს: „აზადის დიდი გული რომ კვნესის, ეს მთელი საბჭოეთია, იგი იდეაა, მთელი კაცობრიობაა, რომელიც იტანჯება.“<sup>26</sup> პარტიული კრება იმით დასრულდა, რომ: „აშოგი ზიზღით სავსე მზერას სტყორცნის გერანოსს, ჩუმად გადის აუდიტორიიდან და სამსახურში მიდის, ჩეკა-ში. ამზადებს პატაკს: გერანოსი აიგივებს კრიზისა და სიწმინდეს. შესაძლოა, (იგი) საშიში გახდეს. აზადი, დაბრკოლებაა, ბევრს ლაპარაკობს; არ ესმის; საჭიროა წითელი წიწაკით დავუშუშხოთ პირი ცოტათი.“<sup>27</sup>

„Toda Raba“-ს ეს თავი, რომელიც საქართველოს ეხება, მთავრდება ავტორის ღრმა განცდების და გაორებული მდგომარეობის აღწერით. პუმანისტი მწერალი ეპაექტება საკუთარ თავს. ამავე დროს, მოაქვს შვილის წერილიც, სადაც ვაჟი მას „მოხევტიალე მასხარას“ უწოდებს.<sup>28</sup> თხრობა მთავრდება ინდური სენტენციით: „აღარ ვიმედოვნებ, აღარც მეშინია, ვარ თავისუფალი.“<sup>29</sup> მართლაც, ამ მოგზაურობის შემდეგ, ნიკოს კაზანძაკისი საბჭოთა კავშირში აღარ ჩასულა.

<sup>23</sup> А. Филин, Оглядываясь с любовью... (Воспоминания), Тб., 2015, с. 175.

<sup>24</sup> 6. კაზანძაკისი, Toda Raba, დასახ. გამოცემა, გვ. 64-65.

<sup>25</sup> 6. კაზანძაკისი, Toda Raba, დასახ. გამოცემა, გვ. 66.

<sup>26</sup> 6. კაზანძაკისი, Toda Raba, დასახ. გამოცემა, გვ. 67.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 67.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 69.

როგორც ადვნიშნეთ, ჩვენი აზრით, მწერალი ეროვნებების მიხედვით აიგივებს XX ს-ის 20-იან წლებში, საბჭოთა საქართველოში არსებულ პრობლემებს. კერძოდ, ლევანი, ეროვნებით ქართველი, ძველი ინტელიგენტი, საართველოს დამოუკიდებლობისა და სიმართლისთვის იბრძოდა მეფის დროსაც და საბჭოთა დროსაც. წითელ საქართველოში მას მომავალი აღარ აქვს და განწირულია დასაღუპად. აზადი – აღმოსავლურ, აზერბაიჯანულ სამყაროს უკავშირდება. იგი მგზნებარე რევოლუციონერია, მაგრამ ხედავს, რომ რუსეთში და საბჭოთა ათი წლის შემდეგ, რევოლუცია: „სისხლში და ტალახში“ ჩაეფლო. მას სურს განაახლოს, გააცოცხლოს ძეველი რევოლუციური იდეალები. ამის გამო, აზადი პარტიული ელიტის გულისწყრომას და რისხვას იმსახურებს. მესამე გმირი, ეროვნებით სომეხი უშოტი ყველაზე ძუნწადა დახასიათებული. იგი აზადის კოლეგა. ორივენი „რევოლუციის სადარაჯოზე“ დგანან. აზადიც და აშოტიც განსაკუთრებული საიდუმლო პოლიციის – „ჩეკას“ წევრები არიან (ორივენი ებრძვიან ლევანის მსგავს ელემენტებს), მაგრამ აშოტისთვის უცხოა სენტიმენტები, იგი მკაცრად იცავს ბოლშევიკურ კურსს. ანუ, მაშინდელ ლოზუნგს მკაცრად მისდევს: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია.“ ამიტომაც, ის მკაცრად „ამხელს“ როგორც აზადს, ასევე უცხოელ, მემარცხენე შეხედულებების მქონე მწერალ გერანოსს, რომელიც აზადის მხარეს იხრება. ამიტომაც, აშოტი მაშინვე, როგორც კი მათ „პარტიის კურსიდან გადახვევას“ შეატყობს, „ჩეკაში“ ასმენს და სათანადო რეაგირებას ითხოვს. ცხადია, ასეთი ეროვნული იდენტიფიცირება, ავტორის მხრიდან, პირობითია, თუმცა, ემიგრანტი ფრანგი ავტორის, ტიერი ბერიშვილის მიერ მოხმობილი სტატისტიკური ცხრილი მოწმობს, რომ XX ს-ის 20-იანი წლების მეორე ნახევარში, ყველაზე მეტი პარტიის წევრი (30%) აზერბაიჯანის კომპარტიიდან გაურიცხავთ.<sup>30</sup> ასე, რომ აზადის მიერ „პარტიის კურსიდან გადახვევა“, მთლად საფუძველს მოკლებული არ არის. მწერლის ამ თავისებურ და სიმბოლოებით დატვირთულ ნაწარმოებში, კიდევ რამოდენიმე მომენტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. ჩვენი აზრით, თვით ნიკოს კაზანძაკისის სახელი, რომლითაც ის თავისი „მოგზაურობის“ წიგნში ფიგურირებს – „გერანოსი“ (γεραυος) ძველ ბერძნულ ენაში „წეროს“ ნიშნავს. „Toda Raba“-ს იმ თავებში, რომლებიც საქართველოს ეხება, მწერალი თითქოს მიგვანიშნებს კიდევ, როგორ გავიგოთ მისი პროტოტიპის სახელი. იგი რამდენიმე ადგილას, ასე ახასიათებს გერანოს: „მშვიდად გამოიყურება მისი ფრინველისმაგარი“ (ხაზი ჩვენია, ვ. კ.) სახე.<sup>31</sup> სხვაგან იგი თავის გამომეტყველებას „დამშეულ ფრინველს“ ადარებს.<sup>32</sup> ამავე დროს, ჩვენი აზრით, ძველი ბერძნულის საფუძველზე უნდა აისხნას ამავე ნაწარმოებში დამოწმებული სახელი „ასოტი“, რომელიც ავტორის განმარტებით: „ფანაგიოსი კომუნისტია“<sup>33</sup> ასეთი დასკვნის საფუძველს ის გვაძლევს, რომ ერთი მხრივ, ასეთი სახელი კავკასიის საკუთარ სახელებში არ დასტურდება, მეორე მხრივ, ძველ ბერძნულში „ასოტის“ (ασοτος) ნიშნავს „უიმედოდ დაღუპულს“, რაც ახლოა მის სემანტიკასთან. კვლავ „გერანოსს“ დავუბრუნდეთ. რატომ შეარჩია ავტორმა თავისი პროტოტიპის სახელად მაინცდამაინც წერო? ჩვენი ვარაუდით, ჯერ ერთი იმიტომ, რომ წერო ბერძნულ და სხვა ქვეყნების მითოლოგიაში კეთილშობილი ფრინველია და რაც უფრო მნიშვნელოვანია: ძველი ბერძნული გადმოცემის მიხედვით, წეროები აღმოჩნდნენ მკვლელობის ერთადერთი მოწმეები, როდესაც ყაჩაღებმა იტალიიდან საბერძნეთში მიმავალი ბერძნი პოეტი

<sup>30</sup> Thierry Berishvili, Γ Insurrection nationale en Géorgie 1924 (ორენვანი, ქართულ-ფრანგული გამოცემა), პარიზი-თბილისი, 2013, გვ. 69.

<sup>31</sup> 6. კაზანძაკისი, Toda Raba, დასახ. გამოცემა, გვ. 66.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 50.

იბიკოსი („Ibycos“) მოკლეს. ამ გადმოცემას ფრ. შილერმა (Friedrich Schiller) პატარა ნოველაც უძღვნა „იბიკოსის წეროები“ („The cranes of Ibycus“)<sup>34</sup> შესაძლოა, საბერძნეთიდან საბჭოთა რუსეთში გამგზავრებულმა მწერალმა, თავი სწორედ იმ ძველი ბერძნული ამბის „მოწმე წეროებს“ შეადარა, თუმცა ისე კი, რომ საბჭოთა ცენზურისათვის ეს იმთავითვე ნათელი არ გამხდარიყო...

ჰუმანისტი მწერილის მიერ საქართველოსთვის დასმული დიაგნოზი, დღესაც, თითქმის ასი წლის შემდეგ, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, კვლავ აქტუალურია. ქართველებს უწევთ მტკიცება, რომ ისინი არც კომუნისტები და არც რეაქციონერები არ არიან, რომ ისინი მხოლოდ ქართველები არიან...

---

<sup>34</sup> D. A. Campbell, Greek Lyric, vol. III, Loeb Classical Library, 1991, pp. 209-211.